

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8

2014 წლის 8 აპრილი

ქ. მარტვილი

„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე და „სოფლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №183 დადგენილების შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მარტვილის მუნიციპალიტეტს გამოუყო 1148,6 ათ. ლარი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე და 78-ე მუხლების შესაბამისად მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის №22 დადგენილებაში (ვებგვერდი 30/12/2013, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.109.016091) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. გადიდდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსავლები კერძოდ, სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის გამოყოფილი თანხები 1148,6 ათ. ლარით.

2. გადიდდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, კერძოდ გადიდდეს: სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ხარჯები 1148,6 ათ. ლარით /კოდი 03 05/.

3. შეტანილ იქნას შიდა მუხლობრივი ცვლილება მარტვილის მუნიციპალიტეტის 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯებში, კერძოდ შემცირებულ იქნას:

ა) წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებში მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯები 20,0 ათ. ლარით /კოდი 01 02/.

ბ) სარეზერვო ფონდი 40,0 ათ. ლარით /კოდი 01 03/.

გ) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებში შენობების და სახურავების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის ხარჯები 20,0 ათ. ლარით /კოდი 03 02 01/ და კეთილმოყობის ცენტრის ხარჯები 21,5 ათ. ლარი /კოდი 03 06/.

დ) კულტურული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები 22,0 ათ. ლარით /კოდი 05 02 03/.

ე) ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობის ხარჯები 5,0 ათ. ლარით /კოდი 05 02 04/.

ვ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების ხარჯები 23,0 ათ. ლარით /კოდი 05 03/.

4. შემცირებული 151,5 ათ.ლარით გადიდდეს:

ა) გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის ხარჯები 5,0 ათ. ლარით /კოდი 03 01 01/.

ბ) ხიდე-ბოგირები მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის ხარჯები 55,0 ათ. ლარით /კოდი 03 01 02/.

გ) პარკების სკვერებისა და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯები 12,5 ათ. ლარით /კოდი 03 02 04/.

დ) სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაციის ხარჯები 40,0 ათ. ლარით /კოდი 03 04/.

ე) სპორტული მოედნების მოწყობის ხარჯები 30,0 ათ. ლარით /კოდი 03 07/.

ვ) მუსიკალური სკოლის დაფინანსების ხარჯები 9,0 ათ. ლარით /კოდი 05 02 02/.

მუხლი 2

დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.



თავი I

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბალანსი							
დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9 150,7	10 678,1	5 903,5	4 774,6	8 965,8	3 239,7	5 726,1
გადასახადები	438,0	206,2	0,0	206,2	302,0	0,0	302,0
გრანტები	8 216,0	10 137,6	5 903,5	4 234,1	8 353,8	3 239,7	5 114,1
სხვა შემოსავლები	496,7	334,3	0,0	334,3	310,0	0,0	310,0
ხარჯები	5 225,9	4 754,7	205,8	4 549,0	5 078,9	0,0	5 078,9
შრომის ანაზღაურება	1 181,6	1 751,7	0,0	1 751,7	1 679,3	0,0	1 679,3
საქონელი და მომსახურება	624,4	414,9	0,0	414,9	518,3	0,0	518,3
პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	1 454,3	1 839,2	30,0	1 809,2	2 337,5	0,0	2 337,5
გრანტები	1 250,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	376,7	423,7	0,0	423,7	502,8	0,0	502,8
სხვა ხარჯები	338,9	325,2	175,8	149,4	41,0	0,0	41,0
საოპერაციო სალდო	3 924,8	5 923,4	5 697,7	225,6	3 886,9	3 239,7	647,2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3 712,6	4 628,6	4 475,4	153,1	5 887,0	4 943,6	943,4
ზრდა	3 896,9	4 659,6	4 475,4	184,2	5 887,0	4 943,6	943,4
კლება	184,3	31,0	0,0	31,0	0,0	0,0	0,0



მთლიანი სალდო	212,2	1 294,8	1 222,3	72,5	-2 000,1	-1 703,9	-296,2
ფინანსური აქტივების ცვლილება	212,2	1 294,8	1 222,3	72,5	-2 000,1	-1 703,9	-296,2
ზრდა	212,2	1 294,8	1 222,3	72,5	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	212,2	1 294,8	1 222	72,5	0,0		
კლება	0,0	0,0	0,0	0,0	2 000,1	1 703,9	296,2

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	9335,0	10709,1	5903,5	4805,6	8965,8	3239,7	5726,1
შემოსავლები	9150,7	10678,1	5903,5	4774,6	8965,8	3239,7	5726,1
არაფინანსური აქტივების კლება	184,3	31,0		31,0	0,0	0,0	0,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	9122,8	9414,3	4681,2	4733,1	10965,9	4943,6	6022,3
ხარჯები	5225,9	4754,7	205,8	4549,0	5078,9	0,0	5078,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	3896,9	4659,6	4475,4	184,2	5887,0	4943,6	943,4
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ნაშთის ცვლილება	212,2	1294,8	1222,3	72,5	-2000,1	-1703,9	-296,2

მუხლი 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 8965,8 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი		2014 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის	
		სახელმწიფო		სახელმწიფო	



	სულ	სულ	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9150,7	10678,1	5903,5	4774,6	8965,8	3239,7	5726,1
გადასახადები	438,0	206,2	0,0	206,2	302,0	0,0	302,0
გრანტები	8216,0	10137,6	5903,5	4234,1	8353,8	3239,7	5114,1
სხვა შემოსავლები	496,7	334,3	0,0	334,3	310,0	0,0	310,0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 302,0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	438,0	206,2	0,0	206,2	302,0	0,0	302,0
ქონების გადასახადი	438,0	206,2	0,0	206,2	302,0	0,0	302,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	283,0	72,0		72,0	135,0		135,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5,1	5,4	0,0	5,4	5,0	0,0	5,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	5,1	5,4		5,4	5,0		5,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	106,9	99,9	0,0	95,0	95,0	0,0	95,0
ფიზიკურ პირებიდან	57,4	45,7		45,7	45,0		45,0
იურიდიულ პირებიდან	49,6	54,2		54,2	50,0		50,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	42,9	28,9	0,0	28,9	67,0	0,0	67,0
ფიზიკურ პირებიდან	13,1	14,7		14,7	42,0		42,0
იურიდიულ პირებიდან	29,8	14,2		14,2	25,0		25,0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 8353,8 ათ. ლარის ოდენობით.

	2013 წლის ფაქტი	2014 წლის პროექტი
--	-----------------	-------------------



დასახელება	2012 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	8216,0	10137,6	5903,5	4234,1	8353,8	3239,7	5114,1
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	8216,0	10137,6	5903,5	4 234,1	8353,8	3239,7	5114,1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	4312,8	4234,1	0,0	4234,1	5114,1	0,0	5114,1
გათანაბრებითი ტრანსფერი	4160,8	4079,1	0,0	4079,1	4951,1	0 ,0	4951,1
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	152,0	155,0	0,0	155,0	163,0	0 ,0	163,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3903,2	5903,5	5903,5	0,0	3239,7	3239,7	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა.	2025,0	4738,2	4738,2	0,0	2091,1	2091,1	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1212,2	1165,3	1165,3	0,0	1148,6	1148,6	0,0
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა	600,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0 ,0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა	66,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 310,0 ათ. ლარის ოდენობით.

	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის პროექტი		
		სულ	მ.შ		სულ	მ.შ	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	496.7	334.3	0.0	334.3	310.0	0.0	310.0
შემოსავლები საკუთრებიდან	195.4	258.6	0.0	258.6	255.0	0.0	255.0
პროცენტები		20.5		20.5	20,0		20,0
რენტა	195.4	235.3	0.0	235.3	235.0	0.0	235.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	190.6	235.3		235.3	230.0		230.0



შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	4.8	2.9		2.9	5.0		5.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	18.5	14.0	0.0	14.0	14.0	0.0	14.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	18.5	14.0	0.0	14.0	14.0	0.0	14.0
სანებართვო მოსაკრებელი	8.5	3.2		3.2	3.0		3.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	6.0	8.6		8.6	10.0		10.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	3.6	2.2		2.2	1.0		1.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	82.3	60.7		60.7	41.0		41.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	30.0	0.0		0.0	0.0		0.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	170.6	1.0	0.0	1.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5078,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2013 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	5,225.9	4,754.7	205.8	4,549.0	5,078.9	0,0	5,078.9
შრომის ანაზღაურება	1,181.6	1,751.7	0.0	1,751.7	1,679.3	0.0	1,679.3
საქონელი და მომსახურება	624.4	414.9	0.0	414.9	518.3	0.0	518.3
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	1,454.3	1,839.2	30.0	1,809.2	2,337.5	0.0	2,337.5
გრანტები	1,250.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	376.7	423.7	0.0	423.7	502.8	0.0	502.8
სხვა ხარჯები	338.9	325.2	175.8	149.4	41.0	0.0	41.0



მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5887,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5887,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	353,2	0,4	0,0	0,4	55,0	0,0	55,0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	6,4	0,0	0,0	0,0	50,0	0,0	50,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3537,3	4659,2	4475,4	183,8	5782,0	4943,6	838,4
	სულ	3896,9	4659,6	4475,4	184,2	5887,0	4943,6	943,4

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0,0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	184,3	31,0	0,0
ძირითადი აქტივები	35,2	12,3	0,0
არაწარმოებული აქტივები	149,1	18,7	0,0
მიწა	149,1	18,7	0,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია			
	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	



ფუნქცი- ონალური კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	მათ შორის			სულ	მათ შორის			
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები			საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
				საკუთარი შემოსავლები	საკუთარი შემოსავლები					
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 139,5	1 910,4	0,0	1 910,4	1 990,6	0,0	1 990,6		
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 862,4	1 910,4	0,0	1 910,4	1 990,6	0,0	1 990,6		
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 862,4	1 910,4	0,0	1 910,4	1 970,6	0,0	1 970,6		
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	20,0	0,0	20,0		
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	1 250,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0		
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	27,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0		
702	თავდაცვა	61,0	70,1	0,0	70,1	77,0	0,0	77,0		
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	228,6	203,9	0,0	203,9	273,1	0,0	273,1		
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	57,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0		
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	171,3	203,9	0,0	203,9	273,1	0,0	273,1		
704	ეკონომიკური საქმიანობა	1 670,7	3 627,3	3 151,1	476,2	4 470,1	3 590,9	879,2		
7045	ტრანსპორტი	1 044,7	1 919,5	1 854,3	65,2	2 099,5	1 964,3	135,2		
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 044,7	1 919,5	1 854,3	65,2	2 099,5	1 964,3	135,2		
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	626,0	1 707,8	1 296,8	411,0	2 370,6	1 626,6	744,0		
705	გარემოს დაცვა	203,5	53,8	29,7	24,1	100,0	0,0	100,0		
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	203,5	53,8	29,7	24,1	100,0	0,0	100,0		
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2 051,0	1 436,2	1 294,6	141,5	1 914,4	1 352,7	561,7		
7061	ბინათმშენებლობა	578,4	53,4	53,4	0,0	360,2	9,5	350,7		
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0		
7063	წყალმომარაგება	66,5	124,8	115,0	9,9	82,8	47,8	35,0		



7064	გარე განათება	270,4	156,3	25,3	131,0	150,0	0,0	150,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 135,8	1 101,7	1 101,0	0,7	1 321,4	1 295,4	26,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	236,9	226,0	0,0	226,0	210,0	0,0	210,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	80,0	81,0	0,0	81,0	80,0	0,0	80,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	156,9	145,0	0,0	145,0	130,0	0,0	130,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	692,9	869,3	0,0	869,3	960,0	0,0	960,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	237,6	330,5	0,0	330,5	376,0	0,0	376,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	368,7	420,0	0,0	420,0	449,0	0,0	449,0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	15,7	11,4	0,0	11,4	10,0	0,0	10,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	42,6	71,9	0,0	71,9	67,0	0,0	67,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	28,3	35,4	0,0	35,4	58,0	0,0	58,0
709	განათლება	618,8	738,7	205,8	532,9	598,0	0,0	598,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	213,0	341,0	30,0	311,0	508,0	0,0	508,0
7092	ზოგადი განათლება	354,6	340,5	175,8	164,7	25,0	0,0	25,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	354,6	340,5	175,8	164,7	25,0	0,0	25,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	51,2	57,2	0,0	57,2	65,0	0,0	65,0
710	სოციალური დაცვა	219,8	278,7	0,0	278,7	372,8	0,0	372,8
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	26,4	128,7	0,0	128,7	162,0	0,0	162,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	193,4	150,1	0,0	150,1	210,8	0,0	210,8
	სულ	9 122,8	9 414,3	4 681,2	4 733,1	10 965,9	4 943,6	6 022,3

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -2000,1 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 2000,1 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0,0 ათასი ლარის



ოდენობით.

3. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 2001,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0.0 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 20.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 163.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 80.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 75.8 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5.2 ათასი ლარი;

დ) „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის 2.0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მარტვილის მუნიციპალიტეტში 2012-2013 წლებში ბიუჯეტის სწორად დაგეგმვამ შემოსავლების გეგმიური მაჩვენებლების შესრულებამ და ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერების მიზნობრივად მიმართვამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ინფრასტრუქტურა. შესაძლებელი გახდა ახალი გზების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, წყლის სისტემების სათაო ნაგებობების მოწყობა და შიდა ქსელების რეზილიტაცია, გარე განათების ახალი სისტემების მოწყობა რითაც გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ ეკონომიური მდგომარეობა შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები, შესაძლებელი გახდა კულტურის, დასვენებისა და სპორტის ახალი ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლა და შესაბამისად ამ სფეროების განვითარება.

მომდევნო 2014-2017 წლებშიც მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების სრულყოფას.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა, და საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების განმტკიცება;
- საინვესტიციო გარემოსა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;



- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის' განვითარება და სრულყოფა;
- გარემოს ეკოლოგიური და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა;
- სკოლამდელი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის ამაღლება;
- კულტურისა და სპორტის განვითარება, რელიგიური რწმენის თავისუფლება და ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

2012-2013 წლების მოკლე მიმოხილვა

2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით, როგორც საშემოსავლო ასევე გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 4987,8 ათ. ლარის ოდენობით მ.შ ადგილობრივი შემოსავლებია 675,0 ათ. ლარი. გათანაბრებითი ტრანსფერია 4160,8 ათ. ლარი, მიზნობრივი ტრანსფერია დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 152,0 ათ. ლარი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ 2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 4987,8 ათ. ლარის ოდენობით, დაზუსტებული ბიუჯეტით კი მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა, როგორც საშემოსავლო ასევე სარჯვითი ნაწილი განისაზღვრა 9874,6 ათ. ლარის ოდენობით. ბიუჯეტის მოცულობა გაზრდილია 4886,8 ათ. ლარით. მ.შ ადგილობრივი შემოსავლები 444,0 ათ. ლარით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან ურთიერთანგარიშსწორებით მიღებული შემოსავლებია 3903,2 ათ. ლარი, ხოლო 487,6 ათ. ლარი არის 2012 წლის გარდამავალი ნაშთი.

2013 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით, როგორც საშემოსავლო ასევე გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 4939,1 ათ. ლარის ოდენობით მ.შ ადგილობრივი შემოსავლებია 705,0 ათ. ლარი. გათანაბრებითი ტრანსფერია 4079,1 ათ. ლარი, მიზნობრივი ტრანსფერია დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 155,0 ათ. ლარი, ხოლო 705,3 ათ. ლარი არის 2013 წლის გარდამავალი ნაშთი.

2013 წლის მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ მობილიზებულმა სახსრებმა დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგინა სულ 10709.1 ათ. ლარი, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეულმა გადასახდელებმა შეადგინა 9414.3 ათ. საკუთარი შემოსავლები შეადგენს 571.5 ათ. ლარს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 10137.6 ათ. ლარი, მ.შ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან გამოყოფილია 5903.5 ათ. ლარი, ხოლო სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილია 1165,3 ათ. ლარი. გარდამავალი ნაშთი 2014 წლის პირველი იანვრისათვის შეადგენს 2000,1 ათ. ლარს. მ.შ. ცენტრალური ბიუჯეტის ნაშთი შეადგენს 1703,8 ათ. ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი 296,2 ათ. ლარს.

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

მიწისძვრის, სახანძრო და სხვა სტიქიური შემთხვევების პრევენციის მიზნით დაგეგმილია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა, კომუნალური პირობების გაუმჯობესება.

მარტვილის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების, აგრეთვე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მარტვილის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა შერჩევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

მიწისძვრის, სახანძრო და სხვა სტიქიური შემთხვევების პრევენციის მიზნით დაგეგმილია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა, კომუნალური პირობების გაუმჯობესება. არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით 2014 წელს დაგეგმილია სახანძრო შენობის რეაბილიტაცია.

1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მარტვილის



მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელების შერჩევა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია. ამ პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გაზომომარაგებისა და წყალმომარაგების სამუშაოები, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხოდები პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

2.1.1 გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. მარტვილის მუნიციპალიტეტის შიდა გზები დაახლოებით 1000-კმ. აჭარბებს აქედნ გამომდინარე შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციასა მოწყობის საკითხი მუნიციპალიტეტისთვის ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოფ. კურზუს გოდოგანის უბანი, სადაც არის ისეთი ადგილები რომელშიც მოსახლეობას საკუთარ სახლამდე სატრანსპორტო საშუალებით მისავლის საშუალება არ აქვს, ასეთივე მდგომარეობა სოფელების გურძემის, კიწიის, თამაკონის უბნებში. 2014 წელს დაგეგმილია შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების შესრულება მნიშვნელოვან ეფექტს მოიტანს. კონკრეტული მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფს მიეცემა ნორმალური სატრანსპორტო გადაადგილების საშუალება.

2.1.2 ხიდ-ბოგირები მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მდგომარეობის შენარჩუნება და მუნიციპალიტეტის სოფლებში ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში როგორც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ასევე ადგილობრივი ბიუჯეტით და სტიქიის კუთხით გამოყოფილი თანხებით უამრავი ხიდისა და ბოგირების რეაბილიტაცია მოხდა, მაინც არის ობიექტები რომელთა რეაბილიტაციაც აუცილებელია, კერძოდ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სოფ. ნაგვაზაოში ლეფაციუს უბანში ხიდის მოწყობის სამუშაოების დაგეგმვა, ყოველ შემთხვევაში მშენებლობის თანადაფინანსების თანხების გათვალისწინება, რადგანაც ხიდის მალევე უკვე 20-ზე მეტი წელია დევს ადგილზე და თუ დროულად არ მოხდა აღნიშნულის დაფინანსება არსებული მალევე შეიძლება მწყობრიდან გამოვიდეს.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, წყალსადენის ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, არსებული შადრევნების ექსპლოატაცია და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია.

2.2.1 შენობების და სახურავების რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოფ. ლეხაინდრაოს, ნაჯახაოს, აბედათის, დოშაყეს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულების ადმინისტრაციული შენობების და ქ. მარტვილის ცენტრში საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა.



2.2.2 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი წერტილების მოწყობა. ქალაქის იერსახის შენარჩუნება.

2.2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია.

2.2.4 პარკების სკვერებისა და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, არსებული შადრევნების ექსპლოატაცია და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია.

2.2.5 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 02 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2014 წელს შესასრულებელი სამუშაოების პროექტირებისა და შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის ხარჯები. რაც განაპირობებს ხარისხიანად კარგად შესრულებულ სამუშაოებს.

2.3 სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია, საკადასტრო რუკების მომზადება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტები.

